

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს მორ იზ ლავ -ის ხელმძღვანელობას

ჩვენ განვახორციელეთ შპს მორ იზ ლავ -ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება:

2020, 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისაგან.

2020, 2019, 2018 წლების სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

კომპილაციური გარიგება შეეხება შემოსავლებზე დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410-ის (გადასინჯული) - კომპილაციური გარიგებები - შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ დავიცავთ შესაფერისი ყოველწლიური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.


ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-342289)

ლევან პაპიაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-387992)

28 ივლისი 2020 წელი

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო



შპს მორ იზ ლავ

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
შემოსავალი	4	3,652,575	3,405,193	1,475,319
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(1,263,349)	(1,312,685)	(767,496)
მთლიანი მოგება		2,389,226	2,092,509	707,823
ადმინისტრაციული ხარჯი	6	(1,332,911)	(1,198,809)	(778,015)
მიწოდების ხარჯი	7	(125,577)	(116,918)	(88,874)
საოპერაციო მოგება		930,738	776,782	(159,066)
ვალუტის კურსის ცვლილებით ძილებული წმინდა ზარალი		(247,215)	(61,453)	(30,225)
საპროცენტო ხარჯი		(67,603)	(94,877)	(40,952)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(314,818)	(156,330)	(71,177)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		74,665	410,226	191,084
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(2,477)	(436,288)	(116,260)
მოგება დაზღვევამდე		688,108	594,390	(155,419)
მოგების გადასახადი		-	-	-
წლის მოგება და წლიური სრული შემოსავალი/(ზარალი)		688,108	594,390	(155,419)

ნინო ელიავა

დირექტორი

28.07.2021, თბილისი

მარიამ მაღრაძე

მთავარი ბუღალტერი

28.07.2021, თბილისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	<u>შენიშვნა</u>	<u>31 დეკემბერი 2020</u>	<u>31 დეკემბერი 2019</u>	<u>31 დეკემბერი 2018</u>	<u>1 იანვარი 2018</u>
აქტივები					
ძირითადი საშუალებები	8	846,344	943,905	1,043,049	146,792
არამატერიალური აქტივები		34,408	10,603	11,218	12,326
სხვა აქტივები		-	-	250,647	259,253
გრძელვადიანი აქტივები		<u>880,752</u>	<u>954,508</u>	<u>1,304,914</u>	<u>418,371</u>
მარაგები	9	2,208,908	1,916,729	1,263,392	1,057,691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	893,135	471,335	127,258	196,431
გადახდილი ავანსები		42,124	42,124	42,124	-
საგადასახადო აქტივები		120,819	41,290	-	34,342
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	324,714	227,725	76,074	112,078
მიმდინარე აქტივები		<u>3,589,699</u>	<u>2,699,203</u>	<u>1,508,848</u>	<u>1,400,542</u>
სულ აქტივები		<u>4,470,451</u>	<u>3,653,711</u>	<u>2,813,762</u>	<u>1,818,913</u>
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		-	35,158	120,658	120,658
გაუნაწილებელი მოგება		1,920,696	1,232,589	638,198	793,617
სულ კაპიტალი		<u>1,920,696</u>	<u>1,267,747</u>	<u>75,8856</u>	<u>914,275</u>
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,036,628	930,380	498,003	293,044
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	2,364	-
მიმდინარე ვალდებულებები		<u>1,036,628</u>	<u>930,380</u>	<u>500,367</u>	<u>293,044</u>
გრძელვადიანი სესხები	13	1,513,127	1,455,584	1,554,539	611,594
გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>1,513,127</u>	<u>1,455,584</u>	<u>1,554,539</u>	<u>611,594</u>
სულ ვალდებულებები		<u>2,549,755</u>	<u>2,385,964</u>	<u>2,054,906</u>	<u>904,638</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>4,470,451</u>	<u>3,653,711</u>	<u>2,813,762</u>	<u>1,818,913</u>

ნინო ელიავა
დირექტორი
28.07.2021, თბილისი

მარიამ მალრაძე
მთავარი ბუღალტერი
28.07.2021, თბილისი

შპს მორ იზ ლავ

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	120,658	793,617	914,275
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(155,419)	(155,419)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	120,658	638,198	758,856
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	120,658	638,198	758,856
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		594,390	594,390
საწესდებო კაპიტალის გადინება	(85,500)		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	35,158	1,232,588	1,267,746
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	35,158	1,232,588	1,267,746
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		688,108	688,108
საწესდებო კაპიტალის გადინება	(35,158)		(35,158)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	1,920,696	1,920,696

ნინო ელიავა

დირექტორი

28.07.2021, თბილისი

მარიამ მაღრაძე

მთავარი ბუღალტერი

28.07.2021, თბილისი

შპს მორ იზ ლავ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ლარი	2020	2019	2018
ფულადი სახსრები ოპერაციული საქმიანობიდან			
წლის მოგება/(ზარალი)	688,108	594,390	(155,419)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია*	96,655	88,313	75,962
ჩამოწერა/ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	250,647	-
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	246,491	59,518	30,225
საპროცენტო ხარჯი	67,603	94,877	40,951
	1,098,857	1,087,745	(8,281)
ცელირებები:			
მარაგები	(292,179)	(653,337)	(205,701)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(88,619)	(290,201)	89,280
საგადასახადო აქტივები	(79,530)	(43,653)	36,706
სხვა აქტივები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(202,779)	401,575	171,155
გადახდილ ავანსებში	-	-	(42,124)
წმინდა ფულადი სახსრები სოპერაციო საქმიანობიდან	435,750	502,129	41,035
გადახდილი პროცენტი	(46,735)	(88,455)	(23,904)
წმინდა ფულადი სახსრები სოპერაციო საქმიანობიდან	389,015	413,674	17,131
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(22,899)	11,446	(962,505)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(22,899)	11,446	(962,505)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
სესხებიდან და კრედიტებიდან მიღებული თანხები	-	-	914,836
სესხებისა და კრედიტების დაფარვა	(186,662)	(205,208)	-
თანხის გადინება საწესდებო კაპიტალიდან	(35,158)	(85,500)	-
მიღებული/გაცემული წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან	(221,820)	(290,708)	914,836
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებში	144,296	134,412	(30,537)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 1 იანვარს	227,725	76,074	112,078
ვალუტის კურსის გავლენა ფულად საქსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(47,307)	17,239	(5,467)
ფულადი საქსრები და მათი ექვივალენტი 31 დეკემბერს	324,714	227,725	76,074

ნინო ელიავა

დირექტორი

28.07.2021, თბილისი

მარიამ მაღრაძე

მთავარი ბუღალტერი

28.07.2021, თბილისი

შპს მორ იზ ლავ

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

და პრაქტიკოსის ანგარიში
ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის

შპს მორ იზ ლავ

შინაარსი

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ	3
---	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
4. შემოსავლის წყაროები	16
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
6. ადმინისტრაციული ხარჯები	17
7. მიწოდების ხარჯი	17
8. ძირითადი საშუალებები	18
9. მარაგები	19
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
11. ფული და ფულის ექვივალენტები	19
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
13. სესხები და კრედიტები	20
14. ფუნქციონირებადობა	23
15. ბალანსის შემდგომი მოვლენები	23
16. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან	23
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	23

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს მორ იზ ლავ -ის ხელმძღვანელობას

ჩვენ განვახორციელეთ შპს მორ იზ ლავ -ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება:

2020, 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისაგან.

2020, 2019, 2018 წლების სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410-ის (გადასინჯული) - 'კომპილაციური გარიგებები' - შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-342289)

ლევან პაპიაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-387992)

28 ივლისი 2020 წელი

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

შპს მორ იზ ლავ

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
შემოსავალი	4	3,652,575	3,405,193	1,475,319
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(1,263,349)	(1,312,685)	(767,496)
მთლიანი მოგება		<u>2,389,226</u>	<u>2,092,509</u>	<u>707,823</u>
ადმინისტრაციული ხარჯი	6	(1,332,911)	(1,198,809)	(778,015)
მიწოდების ხარჯი	7	(125,577)	(116,918)	(88,874)
საოპერაციო მოგება		<u>930,738</u>	<u>776,782</u>	<u>(159,066)</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული წმინდა ზარალი		(247,215)	(61,453)	(30,225)
საპროცენტო ხარჯი		(67,603)	(94,877)	(40,952)
წმინდა ფინანსური ხარჯი		<u>(314,818)</u>	<u>(156,330)</u>	<u>(71,177)</u>
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		74,665	410,226	191,084
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(2,477)	(436,288)	(116,260)
მოგება დაბეგვრამდე		<u>688,108</u>	<u>594,390</u>	<u>(155,419)</u>
მოგების გადასახადი		-	-	-
წლის მოგება და წლიური სრული შემოსავალი/(ზარალი)		<u>688,108</u>	<u>594,390</u>	<u>(155,419)</u>

ნინო ელიავა
დირექტორი
_____._____.2021, თბილისი

მარიამ მაღრაძე
მთავარი ბუღალტერი
_____._____.2021, თბილისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები					
ძირითადი საშუალებები	8	846,344	943,905	1,043,049	146,792
არამატერიალური აქტივები		34,408	10,603	11,218	12,326
სხვა აქტივები		-	-	250,647	259,253
გრძელვადიანი აქტივები		<u>880,752</u>	<u>954,508</u>	<u>1,304,914</u>	<u>418,371</u>
მარაგები	9	2,208,908	1,916,729	1,263,392	1,057,691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	893,135	471,335	127,258	196,431
გადახდილი ავანსები		42,124	42,124	42,124	-
საგადასახადო აქტივები		120,819	41,290	-	34,342
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	324,714	227,725	76,074	112,078
მიმდინარე აქტივები		<u>3,589,699</u>	<u>2,699,203</u>	<u>1,508,848</u>	<u>1,400,542</u>
სულ აქტივები		<u>4,470,451</u>	<u>3,653,711</u>	<u>2,813,762</u>	<u>1,818,913</u>
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		-	35,158	120,658	120,658
გაუნაწილებელი მოგება		1,920,696	1,232,589	638,198	793,617
სულ კაპიტალი		<u>1,920,696</u>	<u>1,267,747</u>	<u>75,8856</u>	<u>914,275</u>
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,036,628	930,380	498,003	293,044
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	2,364	-
მიმდინარე ვალდებულებები		<u>1,036,628</u>	<u>930,380</u>	<u>500,367</u>	<u>293,044</u>
გრძელვადიანი სესხები	13	1,513,127	1,455,584	1,554,539	611,594
გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>1,513,127</u>	<u>1,455,584</u>	<u>1,554,539</u>	<u>611,594</u>
სულ ვალდებულებები		<u>2,549,755</u>	<u>2,385,964</u>	<u>2,054,906</u>	<u>904,638</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>4,470,451</u>	<u>3,653,711</u>	<u>2,813,762</u>	<u>1,818,913</u>

ნინო ელიავა
დირექტორი
____.____.2021, თბილისი

მარიამ მალრაძე
მთავარი ბუღალტერი
____.____.2021, თბილისი

შპს მორ იზ ლავ

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	120,658	793,617	914,275
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(155,419)	(155,419)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	120,658	638,198	758,856
 ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	 120,658	 638,198	 758,856
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		594,390	594,390
საწესდებო კაპიტალის გადინება	(85,500)		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	35,158	1,232,588	1,267,746
 ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	 35,158	 1,232,588	 1,267,746
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		688,108	688,108
საწესდებო კაპიტალის გადინება	(35,158)		(35,158)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	1,920,696	1,920,696

ნინო ელიავა
დირექტორი
____.____.2021, თბილისი

მარიამ მაღრაძე
მთავარი ბუღალტერი
____.____.2021, თბილისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ლარი	2020	2019	2018
ფულადი სახსრები ოპერაციული საქმიანობიდან			
წლის მოგება/(ზარალი)	688,108	594,390	(155,419)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	96,655	88,313	75,962
ჩამოწერა/ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	250,647	-
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	246,491	59,518	30,225
საპროცენტო ხარჯი	67,603	94,877	40,951
	1,098,857	1,087,745	(8,281)
ცვლილებები:			
მარაგები	(292,179)	(653,337)	(205,701)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(88,619)	(290,201)	89,280
საგადასახადო აქტივები	(79,530)	(43,653)	36,706
სხვა აქტივები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(202,779)	401,575	171,155
გადახდილ ავანსებში	-	-	(42,124)
წმინდა ფულადი სახსრები სოპერაციო საქმიანობიდან	435,750	502,129	41,035
გადახდილი პროცენტი	(46,735)	(88,455)	(23,904)
წმინდა ფულადი სახსრები სოპერაციო საქმიანობიდან	389,015	413,674	17,131
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(22,899)	11,446	(962,505)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(22,899)	11,446	(962,505)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხებიდან და კრედიტებიდან მიღებული თანხები	-	-	914,836
სესხებისა და კრედიტების დაფარვა	(186,662)	(205,208)	-
თანხის გადინება საწესდებო კაპიტალიდან	(35,158)	(85,500)	-
მიღებული/გაცემული წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(221,820)	(290,708)	914,836
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებში	144,296	134,412	(30,537)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 1 იანვარს	227,725	76,074	112,078
ვალუტის კურსის გავლენა ფულად საქსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(47,307)	17,239	(5,467)
ფულადი საქსრები და მათი ექვივალენტი 31 დეკემბერს	324,714	227,725	76,074

ნინო ელიავა
დირექტორი
_____._____.2021, თბილისი

მარიამ მაღრაძე
მთავარი ბუღალტერი
_____._____.2021, თბილისი

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია მორ იზ ლავ-ის საქმიანობის მოკლე აღწერილობა:

შპს „მორ იზ ლავ“ (ს/კ 404962607) შეიქმნა 2013 წელს, როგორც ელ. კომერციის კომპანია, ასევე აქვს ბრენდი - „0711“-ის სახით (საწარმო მდებარეობს ქ.თბილისი შესახვევი კოსტავა N7). კომპანიის მთავარი კონცეფციური მიმართულებაა სხვადასხვა უნიკალური ბრენდების შერჩევა და გაყიდვა, ასევე საკუთარი ბრენდის პროდუქციის წარმოება და გაყიდვა.

პროდუქციის მიწოდება ხორციელდება საერთაშორისოდ, მსოფლიოს 55 ქვეყანაში. გაყიდვები ხორციელდება 4 მიმართულებით: 1. საიტის მეშვეობით 2. მაღაზია მდებარე ქ. თბილისი ლ.ქიაჩელის ქუჩა N14 3. პარტნიორი კომპანიების პლათფორმებზე 4. ბრენდი „0711“-ის საბითუმო გაყიდვები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს გლობალურ ბაზარზე შექმნას უფრო ძლიერი და კონკურენტუნარიანი კომპანია.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
1-იან-2018	2.5922	3.1044
31-დეკ-2018	2.6766	3.0701
31-დეკ-2019	2.8677	3.2095
31-დეკ-2020	3.2766	4.0233

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	წლიური ამორტიზაციის ნორმა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
საიჯარო კეთილმოწყობა	20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სხვა	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდი ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. შემოსავლის წყაროები

	2020	2019	2018
კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი	3,652,575	3,405,193	1,475,319
	3,652,575	3,405,193	1,475,319

ბ) კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა

შემდეგ ცხრილში, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი ჩაშლილია ძირითადი მომსახურების ხაზების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით.

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ლარი	2020	2019	2018
ძირითადი მომსახურების მიმართულებები			
შემოსავალი საცალო გაყიდვებიდან	397,481	1,807,235	855,186
შემოსავალი საბითუმო გაყიდვებიდან	1,010,435	160,346	24,703
შემოსავალი ონლაინ გაყიდვებიდან	2,217,195	1,351,564	551,579
სხვა საოპერაციო შემოსავალი	27,464	86,047	43,851
	3,652,575	3,405,193	1,475,319
შემოსავლის აღიარების ვადები			
დროის მანძილზე გადაცემული საქონელი და მომსახურება	3,652,575	3,405,193	1,475,319
შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	3,652,575	3,405,193	1,475,319

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019	2018
შემენილი საქონელი	1,133,917	1,194,811	702,935
იჯარა	33,976	41,220	6,563
ხელფასები და გასამრჯელოები(COGs)	74,251	56,372	11,142
ცვეთა და ამორტიზაცია	16,843	15,787	19,630
სხვა	4,361	4,495	27,227
	1,263,349	1,312,685	767,496

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019	2018
IT სერვისების ხარჯი	665,900	373,421	174,889
ცვეთა და ამორტიზაცია	85,943	89,315	67,356
ხელფასები და გასამრჯელოები	469,564	485,307	278,179
იჯარის ხარჯი	10,535	5,205	44,597
საბანკო ხარჯი	10,147	22,477	21,233
კომუნალური ხარჯი	9,116	13,463	4,517
პროფესიული მომსახურების ხარჯი	8,399	53,113	57,135
წარმომადგენლობითი ხარჯი	5,633	6,983	2,656
მივლინების ხარჯი	2,515	43,424	22,165
ოფისის ხარჯი	1,589	2,243	709
მარკეტინგული ხარჯი	1,427	25,355	21,958
სხვა საოპერაციო ხარჯი	62,142	78,502	82,621
	1,332,911	1,198,809	778,015

7. მიწოდების ხარჯი

	2020	2019	2018
ტრანსპორტირების ხარჯი	101,143	100,550	37,275
დეკლარირების ხარჯი	16,758	7,208	-
მიწოდების სხვა ხარჯი	7,675	9,160	51,599
სულ მიწოდების ხარჯი	125,577	116,918	88,874

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

8. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენობა- ნაგებობები	საიჯარო კეთილმო წყობა	ოფისის აღჭურვ ილობა	სხვა	სულ
2018 წლის 1 იანვარს	45,751	124,135	54,316	4,068	228,269
შესყიდვები	857,889	50,936	58,029	15,417	982,271
2018 წლის 31 დეკემბერს	903,639	175,070	112,345	19,485	1,210,539
2019 წლის 1 იანვარს	903,639	175,070	112,345	19,485	1,210,539
შესყიდვები	-	-	4,800	544	5,344
2019 წლის 31 დეკემბერს	903,639	175,070	117,145	20,029	1,215,883
2020 წლის 1 იანვარს	903,639	175,070	117,145	20,029	1,215,883
შესყიდვები	-	-	3,622	986	4,609
2020 წლის 31 დეკემბერს	903,639	175,070	120,767	21,015	1,220,492
დაგროვილი ცვეთა					
2018 წლის 1 იანვარს	(45,751)	-	(35,727)	-	(81,477)
წლის ცვეთა	(6,903)	(33,954)	(41,884)	(3,273)	(86,013)
2018 წლის 31 დეკემბერს	(52,653)	(33,954)	(77,611)	(3,273)	(167,491)
2019 წლის 1 იანვარს	(52,653)	(33,954)	(77,611)	(3,273)	(167,491)
წლის ცვეთა	(45,182)	(35,014)	(21,517)	(2,774)	(104,487)
2019 წლის 31 დეკემბერს	(97,835)	(68,968)	(99,128)	(6,047)	(271,978)
2020 წლის 1 იანვარს	(97,835)	(68,968)	(99,128)	(6,047)	(271,978)
წლის ცვეთა	(45,182)	(35,014)	(19,317)	(2,656)	(102,169)
2020 წლის 31 დეკემბერს	(143,017)	(103,982)	(118,445)	(8,703)	(374,147)
საბალანსო ღირებულებები					
2018 წლის 1 იანვარს	-	124,135	18,589	4,068	146,792
2018 წლის 31 დეკემბერს	850,986	141,116	34,735	16,212	1,043,049
2019 წლის 31 დეკემბერს	805,804	106,102	18,017	13,982	943,905
2020 წლის 31 დეკემბერს	760,622	71,088	2,322	12,312	846,344

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მზა პროდუქცია	1,697,774	1,598,239	1,033,168	705,260
ნედლეული და მასალები	511,134	318,490	230,224	352,431
	2,208,908	1,916,729	1,263,392	1,057,691

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	884,891	438,688	127,259	196,431
სხვა მოთხოვნები	8,244	32,647	-	-
	893,135	471,335	127,258	196,431

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში	14,947	8,644	7,621	332
ნაღდი ფული	309,767	219,081	68,453	111,746
	324,714	227,725	76,074	112,078

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	(1,039,033)	(903,692)	(474,310)	(272,863)
სხვა ვალდებულებები	2,405	(26,688)	(23,693)	(20,181)
	(1,036,628)	(930,380)	(498,003)	(293,044)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

13. სესხები და კრედიტები

მოცემული შენიშვნა კომპანიის, ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, პროცენტისა და სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გრძელვადიანი ვალდებულებები				
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,350,466	1,238,285	1,323,830	-
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	162661.30	217,299.11	230,708.75	611,594
	1,513,127	1,455,584	1,554,539	611,594

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

a) სესხის დაფარვის გრაფიკი და პირობები

დაუფარავი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

ლარი	ვალუ ტა	ნომინალ ური საპროცე ნტო განაკვეთ ი	დაფარ ვის წელი	1 იანვარი 2018		31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2020	
				ნომინალ ური დირებუ ლება	საბალან სო დირებუ ლება	ნომინალ ური დირებუ ლება	საბალანს ო დირებუ ლება	ნომინალ ური დირებუ ლება	საბალანს ო დირებუ ლება	ნომინალ ური დირებუ ლება	საბალანს ო დირებუ ლება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	აშშ დოლ არი	4.65%	2026	-	-	1,323,830	1,323,830	1,238,285	1,238,285	1,350,466	1,350,466
არაუზრუნველყოფი ლი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	11%	2022	611,594	611,594	230,709	230,709	217,299	217,299	162,661	162,661
სულ პროცენტთან ვალდებულებები				611,594	611,594	1,554,539	1,554,539	1,455,584	1,455,584	1,513,128	1,513,128

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დაგირავებული აქტივების საბალანსო ღირებულებამ შეადინა 760,622 ლარი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 805,504 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერს: 850,986 ლარი; 2018 წლი 1 იანვრის მდგომარეობით დაგირავებული აქტივები არ გააჩნია), რომელიც გამოყენებულია უზრუნველყოფის სახით საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ბ) ვალდებულებების მოძრაობის ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებთან შეჯერება

ლარი	სესხები და კრედიტები
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	611,594
ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	
შემოსულობები სესხები და კრედიტებიდან	914,836
სესხებისა და კრედიტების დაფარვა	-
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	914,836
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	11,061
სხვა ცვლილებები	
საპროცენტო ხარჯი	40,951
გადახდილი პროცენტი	(23,904)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	1,554,539
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,554,539
ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	
შემოსულობები სესხები და კრედიტებიდან	-
სესხებისა და კრედიტების დაფარვა	(205,208)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	(205,208)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	99,831
სხვა ცვლილებები	
საპროცენტო ხარჯი	94,877
გადახდილი პროცენტი	(88,455)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,455,584
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,455,584
ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	
შემოსულობები სესხები და კრედიტებიდან	-
სესხებისა და კრედიტების დაფარვა	(186,662)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	(186,662)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	223,336
სხვა ცვლილებები	
საპროცენტო ხარჯი	67,603
გადახდილი პროცენტი	(46,735)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,513,127

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

14. ფუნქციონირებადობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. კომპანიის საქმიანობას ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში საფრთხე არ ემუქრება.

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

პანდემიის გავლენა:

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID 19). 2020 წელს ვირუსი გავრცელდა მსოფლიოს მასშტაბით და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. აღნიშნული ვირუსის ფართოდ გავრცელებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორზე, თუმცა კომპანიის საქმიანობაზე და მით უმეტეს მისი ფუნქციონირებადობის უნარზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

16. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემულმა ანაზღაურებამ 2020 წელს შეადგინა 176,425 ლარი (2019-148,465 ლარი; 2018-81,140 ლარი)

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს მორ იზ ლავ-ის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 28 ივლისს.